საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №6

ქ.თბილისი 17.10.2011

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ნინო ხოფერია - საქართველოს ნოტარიუსთა პალატის თავმჯდომარე, საბჭოს თავმჯდომარე; დავით კიკალეიშვილი - ადვოკატი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
დიმიტრი ალავიძე - შპს ,,ვოლ ფაბლიშინგის" სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, საბჭოს მდივანი;
იაგორ კალანდაძე - სს "ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი;
ნანა დალაქიშვილი - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის სასწავლო მასალებისა და დანერგვის დეპარტამენტის უფროსი;
მადონა ჭეიშვილი - შპს ,,N5 კლინიკური საავადმყოფოს" დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნანა ჭიღლაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;
გიორგი ცხვედიანი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
კონსტანტინე ჩოკორაია - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ნინო კოპალეიშვილი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიული განვითარების სამმართველოს უფროსი;
ლიკა გიორგაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
თამარ ურუშაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ლევან მადათოვი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელები:

ნინო დურგლიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნინო ფარსადანიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის ევროპისმცოდნეობის პროგრამის ადმინისტრაციის წარმომადგენელი
დიმიტრი კორძახია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელები:

ნინო ჟვანია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
ლევან ცაგარელი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი
დარეჯან ქობელაშვილი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტის ფაკულტეტის დეკანი
მაია ბიწაძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის განათლებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებების პროგრამების კურიკულუმის ექსპერტი

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

გიორგი ღავთაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი
კონსტანტინე სირბილაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
ნანა შონია - ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებებისფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
აკაკი ბაკურაძე - ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 18[35] სთ-ზე და შეამოწმა ქვორუმის არსებობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ეპიდემიოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური და ტრანსლიაციური მედიცინის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ფიზიკა, ბიოლოგია, ეკოლოგია) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე მათემატიკის ძირითადი პარადიგმები და გამოყენებების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკისა და ასტრონომიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
11. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკისა და ასტრონომიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
12. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
13. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი სკოლის პედაგოგიკისა და სკოლამდელი აღზრდის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
14. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ინკლუზიური განათლების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
15. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდური/ინდივიდუალური სპორტის სახეობის მწრთვნელის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
16. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდური/ინდივიდუალური სპორტის სახეობის მწრთვნელის (მეორე სპეციალობა) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
17. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტის ფსიქოლოგიის (მეორე სპეციალობა) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
18. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
19. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის ქართულის, როგორც მეორე ენის შესწავლისა და ინტეგრაციის პროგრამის პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
20. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
21. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის საგნის/სწავლებრივი ჯგუფის მასწავლებლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

22. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სკოლის ფსიქოლოგი, ფსიქოლოგ-კონსულტანტის და ინკლუზიური განათლების სპეციალისტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
23. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
24. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
25. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
26. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
27. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

შუამდგომლობა არ ყოფილა.

საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი.

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: კახაბერ ჭელიძე (თავმჯდომარე), ეკა ეკალაძე, შორენა ჭუმბურიძე, ირინე ფხაკაძე, ნატო ალავიძე, ლიკა გიორგაძე.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლიკა გიორგაძემ, მისი თქმით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები:

- საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტებით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა, რამდენიმე კურსის სილაბუსში, უმჯობესი იქნება თუ უკეთ დაზუსტდება სწავლის შედეგები.
- საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი კომპონენტების თანმიმდევრობა ლოგიკურია, სასწავლო გეგმაში გაწერილია სემესტრებად, მაგრამ სასურველია, სილაბუსებშიც მითითებული იყოს სწავლის სემესტრი,

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევეაკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფს, ვიზიტის შემდეგ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და შესაბამისი დოკუმენტაცია სხდომის დღეს, უკვე გასწორებული სახით არსებობს.

საბჭომ იმსჯელა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ეპიდემიოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: კახაბერ ჭელიძე (თავმჯდომარე), ეკა ეკალაძე, შორენა ჭუმბურიძე, ირინე ფხაკაძე, ნატო ალავიძე, ლიკა გიორგაძე.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლიკა გიორგაძემ. მისი თქმით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია, რომ კიდევ უფრო დაზუსტდეს პროგრამის მიზანი;
- პროგრამა ითვალისწინებს სამეცნიერო კვლევას, თუმცა, უმჯობესი იქნებოდა სამეცნიერო კვლევა წარმოდგენილი ყოფილიყო ცალკე კომპონენტად;
- პროგრამის სასწავლო და სხვა არასამეცნიერო კომპონენტები – 60 კრედიტი – ზოგადსაუნივერსიტეტოა და მოიცავს კურსებს: სწავლების თანამედროვე მეთოდები; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; პროფესორის ასისტენტობა, სემინარი; პროგრამის სასწავლო კურსი ასევე მოიცავს არჩევით საგნებს: აკადემიური წერა ბიომედიცინაში, მეცნიერების მენეჯმენტი, საუნივერისტეტი კურიკულუმის შემუშავების პრინციპები: მათი შინაარსი და მათში გამოყენებული მეთოდები, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, მაგრამ სასურველია სამეცნიერო კომპონენტის ნაწილი უკეთ იყოს გაშიფრული, რათა უკეთ წარმოჩინდეს სწავლის შედეგები ამ მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევეაკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფს, ვიზიტის შემდეგ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და შესაბამისი დოკუმენტაცია უკვე გასწორებულია.
საბჭომ იმსჯელა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური და ტრანსლიაციური მედიცინის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: კახაბერ ჭელიძე, (თავმჯდომარე) ეკა ეკალაძე, შორენა ჭუმბურიძე, ირინე ფხაკაძე, ნატო ალავიძე, ლიკა გიორგაძე.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლიკა გიორგაძემ. მისი თქმით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- კლინიკური და ტრანსლიაციური მედიცინის სადოქტორო პროგრამა მოიცავს მედიცინის მიმართულებებს და ქვემიმართულებებს სპეციფიკური კვლევითი კომპონენტებით (სამედიცინო რადიოლოგია და ენდოსკოპია, ნევროლოგია, ფსიქიატრია, ქირურგია, გადაუდებელი მედიცინა, ინფექციური დაავადებები, მეანობა-გენეკოლოგია, რეპროდუქტოლოგია, კარდიოლოგია, ენდოკრინოლოგია, დერმატო-ვენეროლოგია, კლინიკური პათოლოგია, მოლეკულური მედიცინა, ტრანსპლანტოლოგია, მორფოლოგია, პალიატიური და ტკივილის მედიცინა, სტომატოლოგია), შესაბამისად, აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხული ყოველი დოქტორანტისათვის პროგრამის მიზანი იქნება განსხვავებული. პროგრამის ხელმძღვანელმა ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე, წარმოადგინა ცალკეული მიმართულებების ამსახველი პროგრამები, სადაც დეტალურად არის აღწერილი არა მხოლოდ პროგრამის მიზანი და ამოცანები, არამედ მათი გადაჭრის გზებიც. სასურველია აღნიშნულ ინფორმაციას შეიცავდეს თავად საგანმანათლებლო პროგრამა.
- სასურველია, სამეცნიერო კვლევა ცალკე კომპონენტად ყოფილიყო წარმოდგენილი;

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს, ვიზიტის შემდეგ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და შესაბამისი დოკუმენტაცია უკვე შეცვლილი იყო. პირველ შენიშვნასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ ახლებური მიდგომა შეიმუშავეს, რადგან, თვლიდნენ, რომ დოქტურანტურის საფეხურზე უნივერსიტეტმა უნდა

ჩამოაყალიბოს მკვლევარი, რომელიც მრავალი მიმართულებით შეძლებს კვლევას. მათი მოსაზრებით, ასეთი კადრი უფრო პროდუქტიული შეიძლებოდა ყოფილიყო დღეისათვის. მათი მიზანი იყო, პროგრამა არ ყოფილიყო ორიენტირებული მხოლოდ ერთი მიმართულებით კვლევაზე, არამედ, ყოფილიყო ზოგადი, ხოლო შემდეგ დოქტორანტს შეთავაზებული ჰქონოდა კვლევის შესაძლებლობა სხვადასხვა მიმართულებით. აღნიშნული მიმართულებების ანოტაციები პროგრამას თან ახლდა. ექსპერტების რეკომენდაციის შესაბამისად, ეს ანოტაციები უკვე ასახულია თავად პროგრამაში.

საბჭოს წევრმა, მადონა ჭეიშვილმა, განაცხადა, რომ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი სფერო და იგი მუდმივი განახლების და კვლევის პროცესშია. მისი აზრით მსგავსი მიდგომა გამართლებულია.
საბჭომ იმსჯელა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური და ტრანსლიაციური მედიცინის სადოქტორო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის კლინიკური და ტრანსლიაციური მედიცინის სადოქტორო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური და ტრანსლიაციური მედიცინის სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: დავით აფრასიძე, ნინა კოპალეიშვილი

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინა კოპალეიშვილმა. მისი თქმით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ შემდეგი რეკომენდაციები:

- ვინაიდან პროგრამაზე მიღების პროცედურა საკმაოდ რთული და მრავალსაფეხურიანია, უმჯობესია უფრო ნათლად გაიწეროს პროგრამაზე მიღების შიდასაუნივერსიტეტო წინაპირობები, ცალსახად ჩამოყალიბდეს შეფასების კრიტერიუმები და ფორმები ყველა ეტაპისათვის და ეს ინფორმაცია წინდაწინ ხელმისაწვდომი იყოს დაინტერესებული პირებისათვის.
- სასურველია, უფრო ნათლად გაიწეროს პროგრამის განხილვაში სტუდენტების ჩართვის მექანიზმი, კერძოდ, მათი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. იგივე შეიძლება ითქვას კურსდამთავრებულებსა და პოტენციურ დამსაქმებლებზე.
- სასურველია აკადემიური პერსონალის მხრიდან სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის ვალდებულების უფრო ნათელი მექანიზმის შემუშავება.
- ზოგიერთი კომპონენტის სასწავლო მასალა სასურველია უფრო შეესაბამებოდეს ამ კომპონენტის წონას კრედიტებში. ამისთვის, უმჯობესია, სილაბუსებში ნათლად გაიმიჯნოს სავალდებულო და არასავალდებულო ლიტერატურა.
- სასურველია სილაბუსებში უფრო ნათლად აღიწეროს კავშირი სწავლის/სწავლების მეთოდებსა და შეფასების კომპონენტებს შორის.
- ზოგადად, სასურველია სილაბუსების დაწესებულებაში არსებულ წესთან შესაბამისობაში მოყვანას. ზოგიერთ სილაბუსში ფიგურირებს „დასწრება“ როგორც შეფასების კომპონენტი. სასურველია, ეს კომპონენტი გაერთიანდეს „აქტიურობის“ კომპონენტთან.
- შეიძლება განხილულ იქნეს სტატისტიკის კურსისათვის სავალდებულოს სტატუსის მინიჭებისა და მისი პირველივე სემესტრში (კვლევის მეთოდოლოგიის კურსის პარალელურად) შეთავაზების საკითხი, რათა ეკონომიკური პროფილის კომპონენტების გავლის დროს რაოდენობრივი მეთოდების გათავისებისა და გამოყენების მხრივ პრობლემა არ შეექმნათ სტუდენტებს (ეს პრობლემა გამოიკვეთა ინტერვიუების დროს).

- პროგრამას უშუალოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საუნივერსიტეტო სამსახური კურირებს. სასურველია, რომ თავად ევროპული კვლევების ინსტიტუტში შეიქმნას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით რეკომენდაცია გაითვალისწინებულია და უფრო დეტალურად გაიწერება პროგრამაში. იგივე შეეხება პროგრამით გათვალისიწნებულ შეფასების სისტემას. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, უნივერსიტეტი გეგმავს უფრო აქტიურ მუშაობას სტუდენტებთან ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარების კუთხით. ასევე, უზრუნველყოფილი იქნება წესდებაში ცვლილებების შეტანა, რომლის მიხედვითაც პროგრამისათვის განისაზღვრება ხარისხის უზრუვნელოფაზე პასუხისმგებლობის პირი.
საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს დაუსვა შეკითხვა, ვინაიდან, ექსპერტის რეკომენდაციის შესაბამისად, მარტოოდენ დასწრების კომპონენტში სტუდენტის შეფასება რთულია და უმჯობესია დასწრებასთან მთლიანობაში შეფასდეს აქტიურობაც, როგორ იქნება აღნიშნული საკითხი გადაწყვეტილი საგანმანათლებლო პროგრამაში.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სცემს პატივს პროფესურის აკადემიურ თავისუფლებას და მათი გადაწყვეტილებას, თუმცა უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალისათვის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების გაცნობას.
საბჭომ იმსჯელა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

5. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ფიზიკა, ბიოლოგია, ეკოლოგია) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: მარიამ დარბაიძე (თავმჯდომარე), მიხეილ ლაბარტყავა, ნატალია ბარათელი, გრიგოლ სოხაძე, თათია ზარქუა და ლევან მადათოვი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა. მისი თქმით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- დაიხვეწოს საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი სილაბუსები (საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში გაიწეროს დამოუკიდებელი საათების რაოდენობა, სასწავლო კურსის ფორმატი აისახოს საკონტაქტო საათებში და შეფასების სისტემაში, ძირითადი თემები საჭიროა გაიწეროს საათების მიხედვით);
- სილაბუსებში ასახული თეორიული კურსის საკითხები არ განსხვავდებოდეს სემინარული მეცადინეობის შინაარსისაგან, ლაბორატორიულ სამუშოებში დაცული იყოს თანმიმდევრობის პრინციპი.
- ქიმია-1 და ქიმია-2 -ის სილაბუსებში, რომელიც წარმოადგენს ბიოქიმიის სწავლების შემდეგ საფეხურზე დაშვების წინაპირობას, გათვალისწინებული იქნას ამ საგნის მოთხოვნები.

ყოველივე ზემოაღნიშნული ხელს შეუწყობს მიღწეულ იქნას უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლების შედეგები ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ, განაცხადა რომ, დაწესებულება ეთანხმება რეკომენდაციას სილაბუსების დახვეწასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სილაბუსები უკვე გამოსწორებულია და მოყვანილია შესაბამისობაში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებთან.

საბჭოს წევრმა, მიხეილ კორძახიამ, ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს ცალკე-ცალკე თუ არსებობდა უნივერისტეტში ქიმიის პროგრამა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ქიმიის პროგრამა ცალკე არ არსებობს და ისწავლება ყველა საბუნებისმეტყველო პროგრამაზე, სასწავლო კურსის (საგნის) სახით.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ფიზიკა, ბიოლოგია, ეკოლოგია) საბაკალავრო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ფიზიკა, ბიოლოგია, ეკოლოგია) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ფიზიკა, ბიოლოგია, ეკოლოგია) საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

6. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: მარიამ დარბაიძე (თავმჯდომარე), მიხეილ ლაბარტყავა, ნატალია ბარათელი, გრიგოლ სოხაძე, თათია ზარქუა და ლევან მადათოვი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა. მისი თქმით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაცია:

- დაიხვეწოს საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი სილაბუსები (საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში გაიწეროს დამოუკიდებელი საათების რაოდენობა, სასწავლო კურსის ფორმატი უნდა აისახოს საკონტაქტო საათებში და შეფასების სისტემაში, ძირითადი თემები საჭიროა გაიწეროს საათების მიხედვით). ზემოაღნიშნული ხელს შეუწყობს მიღწეულ იქნას უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლების შედეგები ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო ჟვანიამ აღნიშნა რომ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ითვალისწინებს რეკომენდაციას.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

7. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე მათემატიკის ძირითადი პარადიგმებისა და გამოყენებების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: მარიამ დარბაიძე(თავმჯდომარე), მიხეილ ლაბარტყავა, ნატალია ბარათელი, გრიგოლ სოხაძე, თათია ზარქუა და ლევან მადათოვი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა. მისი თქმით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაცია:

- დაიხვეწოს საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი სილაბუსები (საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში გაიწეროს დამოუკიდებელი საათების რაოდენობა. სასწავლო კურსის ფორმატი უნდა აისახოს საკონტაქტო საათებში და შეფასების სისტემაში, ძირითადი თემები საჭიროა გაიწეროს საათების მიხედვით), რათა მიღწეული იქნას უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სწავლების შედეგები ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევეაკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ, აღნიშნა რომ, რეკომენდაციას ითვალისწინებენ. მან აღნიშნა, რომ მათემატიკური კვლევები განსხვავდება სხვა კვლევებისგან. იგი გამოყენებადი და ორიენტირებული იქნება როგორც თეორიული ცოდნის შეძენასა, ასევე მისი პრაქტიკაში რეალიზაციაზე.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე მათემატიკის ძირითადი პარადიგმებისა და გამოყენებების სამაგისტრო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე მათემატიკის ძირითადი პარადიგმებისა და გამოყენებების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე მათემატიკის ძირითადი პარადიგმებისა და გამოყენებების სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

8. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: მარიამ დარბაიძე (თავმჯდომარე), მიხეილ ლაბარტყავა, ნატალია ბარათელი, გრიგოლ სოხაძე, თათია ზარქუა და ლევან მადათოვი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა. მისი თქმით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- დაიხვეწოს საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი სილაბუსები (საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში გაიწეროს დამოუკიდებელი საათების რაოდენობა. სასწავლო კურსის ფორმატი უნდა აისახოს საკონტაქტო საათებში და შეფასების სისტემაში, ძირითადი თემები საჭიროა გაიწეროს საათების მიხედვით). ზემოაღნიშნული ხელს შეუწყობს მიღწეულ იქნას უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სწავლების შედეგები ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ, რეკომენდაციას ითვალისწინებენ. პროგრამაში კვლევის ელემენტია გაძლიერებული, სხვა სტატისიკასთან ერთად ისწავლება ბიოლოგიური სტატისტიკაც. იგი ინტერდისციპლინური პროგრამაა.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რა იყო საფუძველი პროგრამის სახელწოდებისა, რაზედაც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების უფრო ვიწრო მიმართულებაა, იგი მედიცინას არ ითვალისწინებს, ისწავლება ბიოლოგია და ეკოლოგია. საბჭოს წევრმა მიხეილ კორძახიამ თავისი პოზიცია დააფიქსირა და განაცხადა, რომ სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში მედიცინაც უნდა ისწავლებოდეს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მაგისტრატურაში მედიცინის მიმართულებით დაწესებულებაში სწავლა უნივერსიტეტში არ მიმდინარეობს და თუ განვითარდება ამ კუთხით

დაწესებულების სამედიცინო პროგრამები, შესაძლებელია პროგრამაში გათვალისწინებული იქნას მედიცინის კომპონენტიც.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

9. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკისა და ასტრონომიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

